წელიწადი მეორე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# წითელი არმიელი

ფასი 5000 მანეთი.

გაზეთი გამოდის ყოველდღიურათ მასალები მიიღება რედაქც. 9—3 საათ., ყოველ დღე. რედაქ. მისამ.: საპიორ. ქ. № 30. პირველი სართული.

კვირა, 29 ოქტომბერი 1922 წ.

№ 131 ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო № 131

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განცხადება

კვირას 29 ოქტომბერს მ. ც. კ. (მიხაილოვის ქუჩა) ქალაქ ტფილისის და მისი მაზრის სამხედკომრატთან არსებული კულტკომისია ჰმართავს

### დიდ ლიტერ.-დრამ. მუსიკალ.-ინტერნაციონ. საღამოს

**გურიის რკინის გზის სასარგებლოთ; იდგმება თითო მოქმედებიანი პიესები —ქართულ-რუსულ სომხურ ენებზედ. მონაწილეობას იღებენ: მომღერალი ვ. შარაშენიძე და პოეტები.**

ქართულათ წარმოდგენილი იქნება ახალი პიესა **„გამარჯვების წინ“**, გოგიტო ციმბირელისა.

გაიმართება გურული ბუფეტი. დაუკრავს სამხედრო მუსიკა. იქნება აუქციონი და სხვა. საღამო მეტად შინაარსიანი პროგრამით არის.

ვიმედოვნებთ, რომ როგორც საზოგადოება, ისე წითელ-არმიელებიც შეგვეწყობენ ხელს ამ საერთო საქმეში და დაგვესწრებიან.

**საღამოს მომწყობი გამგეობა.**

## ვლადივასტოკის აღების გამო

უკანასკნელი დეპეშების ცნობით წითელი არმია ვლადივასტოკში შესულა.

ამნაირად საბჭოთა რესპუბლიკებს ერთხელ და სამუდამოთ შემოუერთდა ისეთი დიდი და მრავალ-მნიშვნელოვანი ქალაქი, როგორც ვლადივოსტოკია. დიდ ხანს იყო მოწყვეტილი საბჭოთა რესპუბლიკებს ეს ქალაქი. დიდ ხანს იყო ის გადაქცეული შინაურ თუ გარეშე კონტრ-რევოლიუციონერთა ბაზათ.

სისხლიანი ნიკოლოზის გენერლები, სემიონოვი დიტერიხსი თუ იაპონიის საოკუპანტო ჯარები, რომლებიც მთელ თავის ძალას და ღონეს ხმარობდნენ, რათა საბჭოთა მთავრობა აღეგავათ, მიწისაგან პირისა, დიდხანდათარეშობდნენ თვით ვლადივასტოკში თუ მის ახლო-მახლო ოლქებში და საშინელ რეპრესიებით და მათრახების ცემით სიცოცხლეს უმწარებდნენ იმ მშრომელთა, რომლებიც კი გაბედავდნენ მათ წინაამდეგ ხმის ამოღებას. ჯოჯოხეთი იყო დატრიალებული ამ ჯალათების საბრძანებელში. და როცა ვლადივასტოკის რევოლიუციონური მუშათა კლასი, ზიზღს და პროტესტს უცხადებდა სულთა-მხუთავებს, სისხლის მორევში ახშობდნენ მათ, და ამნაირად ცეცხლითა და მახვილით ტრუნავდნენ მათ მისწრაფებებს.

და იყო მარად ცრემლში და თალხძაძებში გამოხვეული იქაური მშრომელი ხალხი, რომელიც გულისძგერით შეყურებდა მისი გმირის რუსეთის პროლეტარიატის ბრძოლებს თუ გამარჯვებებს და ნატრობდნენ იმ საათს როცა ძლევა მოსილი ოქტომბრის რევოლიუციის ტალღებიც მოადგებოდნენ ვლადივასტოკის კედლებს და ამნაირად გაათავისუფლებდნენ მათ გამძვინვარებულ გენერლებისგან და ოფიცრებისგან.

ეს მომენტიც დადგა

შორეულ აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკის წითელ ლაშქრის ნაწილები გამარჯვებულნი ყველა თეთრ გენერლებზე და მათ შეკრებილ ბანდებზე, წითელი დროშის მაღლა ფრიალით ამაყათ მიადგნენ ვლადივასტოკსაც.

ვლადივასტოკში ჩვენი წითელი არწივები შუსრს ავლებენ დღეს მუშათა ყველა მტრებს და სულთა-მხუთავებს.

ხოლო ვლადივასტოკის აღებით, უზარმაზარ საბჭოთა რესპუბლიკებში ჩვენს მტრებს ეცლებათ ხელიდან ერთად ერთი დასაყრდნობი ბაზაც. ეს კი საბჭოთა რესპუბლიკებს პრესტიჟს და ავტორიტეტს ზრდის ყველა კაპიტალისტურ ქვეყნების თვალში. ეს შეგვიძლიან ვსთქვათ იქედან, რომ უკანასკნელი ცნობებით იაპონიაც, რომელსაც დღემდის ხელში ეჭირა ქ. ვლადივასტოკს ერთ-ერთ კომპრომისებზე წასულა და განუზრახავს საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკების განახლება.

ასე თუ ისე ვლადივასტოკის აღებას სულ დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა რესპუბლიკების განსამტკიცებლად და ჩვენც უფრო მეტი სიმხნევე და ენერგია გვმართებს ჩვენი შინაური ცხოვრების მოსაგვარებლად.

## ციმბირის გაწმენდას აფრთხილებენ.

გაზ. „აღმოსავლეთის განთიადის“ „(заря востока)“ 26 ამა თვეს მოწინავე წერილში სწერენ შორეულ აღმოსავლეთის გაწმენდაზე იაპონიის ჯარების მიერ.

რამდენათადაც ახლოვდება დრო შორეულ აღმოსავლეთის გაწმენდისა იაპონიის იმპერიალისტურ ჯარების მიერ, მით უფრო ცდილობენ იაპონიის იმპერიალისტები შეაჩერონ და გააგრძელონ დრო გაწმენდისა და ამისათვის უშვებენ ათასგვარ ხრიკებს ციმბირის მშრომელთა ცხოვრებაში.

იაპონელები თავის აგენტების საშვალებით აწყობენ ანარქიულ გამოსვლებს მხარეში, რაც გამოიხატება დაცინვაში ცარცვა გლეჯაში და სხვა ასეთებში მშვიდობიან მცხოვრებთა მიმართ. რაც ვითომდაც მათ არ აძლევს საშვალებას დროზე ციმბირის დაცლისას.

მაგრამ ამ ხრიკების საშვალებით სწერს გაზეთი საბჭოთა მთავრობას ვერ დააბრმავებენო

მან იცის რომ იაპონია მათვე შექმნილ ანარქიის ატმოსფერაში თავისუფლად მიაცურებს რუსეთის სავაჭრო გემებს და აგრეთვე ამ მდგომარეობამ ხელი არ შეუშალა თავი წამოეყო ვლადივოსტოკში ახალ „ციმბირის მთავრობას“ რომელსაც მეთაურობს ვიღაც საზონოვი.

ყველა ამ ხრიკებს ერთი დარტყმით მოუღებდა ბოლოს სახალხო რევოლიუციონური არმია. მაგრამ ანტანტა ალბათ ფიქრობს, მორიგ კონტრ რევოლიუციონურ ავანტიურის მოწყობას ციმბირში, და ამისათვის სახალხო რევოლიუციონურ არმიას წინ გადაუდგა იაპონიის იმპერიალისტური ჯარები.

**ტყუილია მათი ოცნება.**

ვერავითარი ავანტიურა ვერ დაიცავს მორიგ „ციმბირის მთავრობას“ კოლჩაკის ბედისაგან.

მთელი პასუხის მგებლობა დააწვება თავზე იაპონიის და სხვა ანტანტის მთავრობებს,

## დღევანდელი ცნობები

**— ამერიკასა და ევროპის სახელიწიფოებს შორის საქმე მწვავდება.**

**— დასავლეთ საქართველოდან იტყობინებიან რიონის უმაგალითო გადიდების შესახებ.**

## წითელ რესპუბლიკებში

### საქართველოში

**წყალდიდობა**

— სამტრედიიდან მიღებულია დეპეშა, რომელიც იტყობინება რიონის უჩვეულო გადიდების შესახებ. წყალს გადაუვლია: ლანჩხუთზე, ორპირზე, კოდორზე, გულიკარზე, ქორიუბანზე და სხვა.

დაარსებულია კომისია, რომელიც ეუდგა დახმარების გაწევას.

### რუსეთი.

— რ. კ. პ. ც. ამხ. ლენინმა და ზინოვიევმა მიიღო მისალმება ესლიანდიის კომპარტიის მესამე არალეგარულ კონგრესისაგან. ესტონიის კომუნისტები აცხადებენ, რომ ისინი მოუთმენლად ელიან მომენტს, როდესაც მათ ექნებათ შეძლება ისე როგორც რ. კ. პ.—ს. სამაგიერო მიუზღონ თავის მჩაგვრელებს და გაუწოდებენ ხელს რუს ძმებს მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის.

## სხვა და სხვა ამბები

### ჩინეთში.

— გაზ. „მორინგ პოსტი“ იტყობინება, რომ მდგომარეობის გაუმჯობესების იმედი ჩინეთში თანდათან ქრება. მთავრობამ ვერ გამონახა ფინანსთა მინისტრი, ვინაიდან სახელმწიფო ხაზინის ვალებით დატვირთვის გამო, არავის არა სურს დაიკავოს მინისტრის თანამდებობა. პარლამენტმა თუმცა გახსნა სხდომები ამ ორი კვირის წინად, მაგრამ საერთო მოუწესრიგებლობის გამო მუშაობას არ შესდგომია. ჩრდილოეთ ჩინეთის მთავარსარდლები წინააღმდეგობას უწევენ მთავრობას ჩინეთის ფედერაციაში გაერთიანების საკითხში და მოითხოვენ მტკიცე ცენტრალურ მართველობას. მთავრობის მიერ დანიშნულმა რაძღუნიმე გუბერნატორმა უარი განაცხადა თანამდებობის დაკავებაზე. დროებითი პრეზიდენტი ლი-იუნგ-ხუნში იმუქრება წასვლით, აღნიშნავს რა მთავარსარდლების ღალატს. იმ დროს, როდესაც მანჯურიის სამხედრო გუბერნატორი ჩანგ-გო-ლინგი საჩქაროდ ემზადება ახალ ბრძოლისათვის და იღებს ზარბაზნების და სამხედრო მასალების დიდ რაოდენობას.

### ამერიკა და ევროპა

— ეგრეთწოდებულმა „ამერიკის პრესის კაროლმა“ ვილიამ ხირსტმა, რომელიც ხელმძღვანელობს რამდენიმე ასეულ ამერიკის გაზეთებს, გამოვიდა „ნიუიორკ ამერიკენის“ ფურცლებზე წერილით, რომელშიაც ის ლაპარაკობს ევროპისა და ამერიკის ურთიერთ დამოკიდებულებაზე. საფრანგეთი, შენიშნავს ხირსტი, თხოულობს დანგრეული ოლქების კომპენსაციას, მაგრამ ის არ იღებს მხედველობაში, რომ მან სამაგიეროდ მიიღო ელზას-ლოტარინგია და ძვირფასი ნახშირის რაიონი. მართალია ინგლისი აწვდიდა ყოველგვარ საშვალებებს ყველა ევროპის სახელმწიფოებს, მაგრამ ამისათვის მან მიიღო გერმანიის ახალშენები, გერმანიის სავაჭრო ფლოტი და უმდიდრესი ნავთის მიწები. მხოლოდ ერთმა ამერიკამ ყოველივე კომპენსაციის გარეშე გაასესხა მილიარდი დოლარები. ევროპის დიპლომატია ახლა არის აგრესიული, როგორც არა-ოდეს და საფრანგეთი არის შოვინისტური და მილიტარისტული ვინემ იყო ერთ დროს გერმანია. ხირსტი გამოსთქვამს შიშს რომ ყველა ახალი ვალები მოხმარდება ახალ ომებს და კატეგორიულად მოითხოვს რომ ამერიკის ვალები გადახდილ იქნას უკანასკნელ კაპეიკამდე თავისი პროცენტებით. ხირსტი აფრთხილებს გარდინგს არ ჩაერიოს ევროპის საქმეებში ვინაიდან ამ ავანტიურაში შეიძლება ფეხების წამტვრევა.




## ლაშქრული სიმღერა.

რომანსი 1-ლი

ჩვენ დავიბადეთ ერთ ოჯახში
და დავიზარდეთ ვაი-ვაგლახით,
მარად ცრემლს ვღვრიდით კვნესა-ოხვრაში
რადგან სისხლს გვწოვდნენ მუქთა ხორანი:
მეფე, ღვდელი თუ სოფლის წურბელნი,
ბურჟუები და მემამულეები.

მაგრამ ამაოდ, მათმა მოყვრობამ
ჩვენში ვერ ჩაკლა წყურვილი ბრძოლის
მივხვდით ყოველ გვარ ჭეშმარიტებას
აღვსდგით წინაღმდეგ უსამართლობის
აჯანყებულნი. ვით ხვადი-ლომი
ვეცით მ...არვალებს მსწრაფლი ნახტომით.

და ატყდა ბრძოლა, ბარიკადებზე
სისხლს ვღვრიდით და ამ სისხლის დენაზე,
ჩვენ მუშებს და სოფლის გლეხობას
ბრძოლის ალმურში გვეღიმებოდა
არად მიგვაჩნდა სიკვდილი მტერთან,
რადგან ცუდ ყოფნას ის სჯობდა მეტად.

ჩვენ გავიმარჯვეთ და მუქთა ხორებს
ყველა მტარვალებს და ყველა ოხრებს,
გაუთხარეთ ღრმა ორმო მიწაში
და საუკუნედ მივეცით ბინა შიგ.
დღეს თავისუფლად ვცხოვრობთ ჩვენ მაგრამ
თოფის დაჭერა კვლავ გვმართებს მაგრად.

რადგან ყორნები აქა-იქ კიდევ
დარჩენილან და მწარედ ჩხავიან
სურთ, რომ ჩვენ ისევ მძორებად გვთვლიდნენ
და ძველებურად გვაძრონ ტყავია,

მაგრამ რას გვიზამს მათი ჩხავილი?
დარაჯათ ვდგევართ ხელთ გვაქვთ მახვილი.

ვ,—ს.

X) ამ ლექსის დასწავლა ზეპირად ევალებათ ყველა არმიელს, რადგან ეს გადაღებულია მუსიკაზე.

რედ.

## განდიტების მიმართ.

ცა ისევ სჭექს, ისევ გრგვინავს
ათრთოლბს და სძრავს არე მარეს,
სიბნელეა, ჭექ-ქუხილია,
დაკარგვია მუქი მთვარეს.
აღარა გსურთ ჩვენთან ერთად
გამოუდგეთ იმ წუწკალებს
გამოუდგეთ ერთად ყველამ
საჭიროა აი ეხლა ერთმანეთის ხსნა
და შველა
ვინ არიან? რას გვიზამენ?
მშვიდობიან. ხალხის მტრები?
აღარ უნდათ მათ სიწყნარე??!
გაუმართლოთ სახლში მკვდრები
დეე, მაშინ დაინახონ
როგორია ხალხის მტრობა...
რისხვა ჩვენი მათ ვისაც სურ!
კვალად ჩვენში ბატონყმობა!
საზიზღრებო, ბანდიტებო
აღარა გსურთ იყვეთ წყნარად
იმუშაოთ თანაბარად

მაშ დადექით ვაჟკაცურად
მივმართოთ ბრძოლას ხელი?!
თქვენს ბიჭობას და ჩვენსასაც
გამოაჩენს ბრძოლის ველი
დღეს ჩვენ ვიბრძვით სიმართლისთვის
ხელთ გვიჭირავს თოხი, ბარი
და რაკი თქვენ ვერაგულად
ააჯანყეთ მთა და ბარი,
ვნახოთ ეხლა ვინ დარჩება
თავის თავზე განამწარი.
შრომის დები ვის აქებენ
სად ჩამოჰკრავს ძმობის ზარი!
თქვენ ქვე მძრომნო, ბიუროტებო,
თქვენ მეფენო, ჯოჯოხეთის
ყველა დასაწვავი ხართ
დაგვემალვით სად როდემდის
მაშ აღზდექით შრომის შვილნო
მოვსპოთ ყველა ყვავ-ყორნები
გაუმარჯოს წითელ ლაშქარს
თავის წმინდა მოწოდებით!!

წით. არმ. ბიჭიკო.




ჩვენც მზად ვართ საბრძოლველად

1 ოქტომბერს მოწვეული იქმნა მეორე ლეგიონის წითელ არმიელების და უფშემადგენლობის საერთო კრება.

თავმჯდომარეთ არჩეული იქმნა ამხ. თუხარელი, მდივნად ამხ. კალანდაძე დღის წეს-რიგში იდგა შემდეგი საკითხები: მოხსენება მომენტზე და მიმდინარე კითხვები.

პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. იმედაძე, რომელმაც მოკლეთ და შინაარსიანად აუხსნა კრებას აღმოსავლეთ ხალხთა მოძრაობის მნიშვნელობა და აგრეთვე ჩოლოყაშვილის ბანდის მოქმედება დუშეთის მაზრაში.

მოხსენების გათავებისას გამოტანილი იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა მოხსენება, ამხ. იმედაძისა თანა მედროვე მდგომარეობაზე.

ჩვენ, მეორე ლეგიონის წითელ არმიელები და უფშემადგენლობა, რომელთაც დღეს გვესმის ხმა საერთაშორისო მოძრაობისა განთავისუფლებისაკენ და გამარჯვებისაკენ, სამხედრო რევოლიუციონური ენტუზიაზმით გატაცებულნი ფიცსა ვსდებთ რომ ყოველ წუთს მზად ვიქნებით საბჭოთა მთავრობის მოწოდების დაჩაგრულ ერების განსათავისუფლებლად

გაუმარჯოს აზიის და ევროპის ხალხების თავისუფლებისათვის მებრძოლთ!..

გაუმარჯოთ ჩაგრულთა დამცველს-საბჭოთა წესწყობილებას!..

გაუმარჯოს მესამე კომინტერნს!..

გაუმარჯოს წითელ ლაშქარს!!..

ყარაჩოღელი.

## ჩვენ ჯარში წარმოებულ მუშაობის შესახებ.

II.

დღევანდელ წერილში მსურს მივაქციო ჩვენი წითელ-არმიელების ყურადღება ერთ მეტათ მნიშვნელოვან საკითხს, რომლის შესახებ სამკორითა კორესპონდენციები მეტათ ძვირათ და მკრთალათ ლაპარაკობენ.

მე მოგახსენებთ **ჩვენს ჯარში კულტურულ მუშაობის შესახებ.**

რედაქციას მეტათ ბლომათ მოსდის სამკორების კორესპონდენციები, მაგრამ საუბედუროთ მათში საგრძნობი რიცხვი აგებულია კერძო ინტერესებზე, რომელიმე პიროვნების მიმართ. ამის შესახებ წინა წერილში გავაფრთხილე ამხანაგი წითელ არმიელები, რომ მომავალში აღნიშნულ მოვლენას ადგილი არ ექნეს. სამაგიეროთ იგივე სამკორები ძალიან ცოტას გვწერენ, თუ რა კეთდება ჩვენი ჯარის კულტურულათ ამაღლების საქმეში.

ყველა ჯარში მომუშავე ამხანაგებს ნათლად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი უაღრესი მნიშვნელობა ჯარის კულტურულად ამაღლებისა.

საბჭოთა მთავრობა არის მუშებისა და მშრომელი გლეხების ინტერესების დამცველი. ის ყოველ საშუალებას ხმარობს, რომ მუშები და მშრომელი გლეხები გამოიყვანოს სიბნელისაგან, მისცეს მას ცხოვრებაზე სწორი ცოდნა-შეხედულება, რასაც რასაკვირველია უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაში. კულტურული, ყოველ მხრივ განვითარებული მუშა და გლეხი ერთის მხრივ შესძლებს გაუმჯობესებული სამუშაო იარაღების მოხმარებას, რაც მოუტანს მას შრომის ნაყოფის დოვლათიანობას და მეორეც როგორც კულტურული, შეგნებული მშრომელი ადვილად გაერკვევა თავის მტერ-მოყვარეში და მედგრად დაიცავს მშრომელთა მთავრობას ყოველ გვარ მტრებისაგან. აქამდე ბურჟუაზია განაგებდა სახელმწიფოებს; ეხლა კი საბჭოთა რესპუბლიკების მმართველი არის ამავე რესპუბლიკების მშრომელი კლასები. მშრომელი კლასები ვინაიდან აქამდე სახელმწიფოს მმართველის გარეშე იდგენ, ამისათვის მათ არა აქვთ სერიოზული ცოდნა და გამოცდილება ამ დარგში. ისინი ეხლა, საბჭოთა ხელისუფლების დროს, როდესაც მათ ხელში მთელი სახელმწიფოებრივი ძალა უფლება, შეუდგენ მუშურ სახელმწიფოს აღმშენებლობას.

მუშური სახელმწიფოს აშენება გარდა იმისა, რომ მშრომელი მასა ჯერ გამოუცდელია, არის მეტათ ძნელი, იმისათვის, რომ ის სრულიად ახალი ტიპის სახელმწიფოა, რომლის მსგავსი, გარდა პარიზის კომუნის ხეირელე მუშაობისა, ისტორიას არ შეუქმნია. ამასთან ერთად მუშათა კლასს უხდება ამ ახალი ტიპის სახელმწიფოს აშენება მაშინ, როდესაც ევროპისა და ამერიკა-იაპონიის ბურჟუაზია დაუმარცხებელია და ეკონომიური და პოლიტიკური ბლოკადით სურთ მათი ჩახშობა. ასეთ რთულ პირობებში უხდება მუშათა კლასს თავისი მუშური საბჭოთა რესპუბლიკის აშენება და ამისათვის არის, რომ საბჭოთა მთავრობა უდიდეს ენერგიას ხარჯავს მუშებისა და მშრომელი გლეხების კათვითცნობიერებისათვის, რასაც უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ზემოჩამოთვლილ მძიმე დამაბრკოლებელ მიზეზების დასაძლევათ.

წითელ ჯარშიაც უდიდესი ყურადღება უნდა ექნეს მიქცეული წითელ-არმიელთა კულტურულ დონის ამაღლებას. ჩვენ რედაქციას არა აქვს სრული წარმოდგენა თუ როგორ სწარმოებს კულტურული მუშაობა ჩვენს ჯარში. მართალია მოგვდის აქა იქ რამოდენიმე წერილები კულტურულ მუშაობზე, მაგრამ არც ერთი ისინი არ არიან წარმომდგენნი ნაწილის კულტურული მდგომარეობისა. საჭიროა ყველა ნაწილების სამკორებმა ვრცლად გვაცნობოს ნაწილის საერთო კულტურული მდგომარეობა და თან აგვიწეროს იქ კულტურული მუშაობის მდგომარეობის შესახებ. როგორც ზევით აღვნიშნე მშრომელთა მასის კულტურულ გათვითცნობიერებას გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს და ამისათვის ყველა ჯარში მომუშავე ამხანაგები მას უაღრესი ყურადღებით უნდა მოეპყრონ.

აქვე მსურს აღვნიშნო, ჩვენს ჯარში კულტურულ მომუშავეთა ყურადღებისთვის, უმთავრესი სამუშაო მომენტები.

ყველაზე უპირველესი ყურადღება უნდა მიექცეს ჯარში წერა კითხვის უცოდინართა ლიკვიდაციას. ყველასთვის ცხადი უნდა იქნეს, რომ თუ წერა-კითხვა ვერ შეასწავლეთ წითელ-არმიელებს, ისე მის კულტურულ ამაღლებაზე ლაპარაკი ზედმეტია. ადამიანი მაშინ წაიწევს კულტურულათ წინ, როდესაც ექნება საშუალება თვითონ წაიკითხოს ცხოვრების გაუმჯობესებულათ მოწყობის შესახებ, ამა თუ იმ ქვეყნის მდგომარეობის შესახებ და სხვა. თუ თვითონ არ ექნა საშუალება წაკითხვით დარწმუნდეს ამა თუ იმ საკითხის შესახებ, მაშინ მის მტრებს ექნებათ საშუალება დააჯერონ ისინი სიცრუეში და სწორ გზას ააცდინონ. ამისათვის **წერა-კითხვის ცოდნის შეძენა უმთავრესი საფეხურია სიბნელიდან კულტურულ სინათლისაკენ.**

შემდეგი საფეხური კულტურულ მუშაობისა არის საკლუბო მუშაობა. რაში უნდა გამოიხატოს უმთავრესად საკლუბო მუშაობა? საკლუბო მუშაობა უნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საჭიროა ყურადღება.

ჩვენ, წითელ არმიელებსა, ძალიან ხშირად მოგვდის ცნობები ოჯახებიდან. თუ როდისმე წერილს მივიღებთ, ასეთი ფასით, რომელშიც გვახდევინებენ 22 ათას მანეთს. ეს ჩემის აზრით დაუშვებელია საბჭოთა ხელისუფლების დროს და საჭიროა ადრიანად მიექცეს ყურადღება.. აგრეთვე წითელ არმიელთა მშობლებიც იხდიან ფასს. წერილის მიღებაში, როგორც ვიცით. ეს კი მორალურად ცუდ გავლენას ახდენს წით. არმიელებზე ამხ. **პეტრე ქერქაძეზ** თბილისის ცენტრალურ ფოსტაში წერილის დახსნის დროს სთქვა, რომ სად გვაქვს ყოველ წერილზე 23 ათასი მანეთი ვიხადოთო. ფოსტის უფროსს კი ეთქვა: მილიონს ლებულობთ და რატომ არ შეიძლებაო. საჭიროა გაუგებრობას ბოლო მოეღოს და გაიცეს განკარგულება, რათა წითელ არმიელები და მათი მშობლები წერილზედ ფასს არ იხდიდენ.

სამხკორი **ვ. ნეფარიშვილი.**

## დროა აღიკვეთოს თავგასულობა.

გუშინ 25 ოქტომბერს გამომეცხადა ჩემთან, ჩემდამი რწმუნებული კომისარიატის წითელ არმიელი პაპიაშვილი, რომელსაც ქონდა გატეხილი თავი და ცხვირ-პირზედ ჩამოდიოდა სისხლი. განაცხადა, რომ მას ბინაზედ მოუხტა სახლის პატრონი ვიღაც ამხანაგით და მოსთხოვა ქირა თვეში ერთი ვერცხლის მანეთი, როცა ბინის პატრონმა უარი მიიღო, დაუწყიათ წითელ არმიელისთვის ცემა ცხვირ პირში გამოეგდოთ გარეთ. გალახული წითელ არმიელი და სახლის პატრონი წავიდენ მე-11-ე რაიონის მილიციის კომისარიატში სადაც მათ დახვედრია მორიგე უფროსი თანამშრომელი, რომლისთვისაც წითელ არმიელს პაპიაშვილს განუცხადებია, რომ შეედგინათ ოქმი მაგრამ უფრო თანამშრომელს ის გამოუგდია გარეთ. მე იმწამსვე გავემგზავრე ადგილზედ და პაპიაშვილის განცხადება გამოდგა სრული სიმართლე, იქვე აღმოჩნდა გამშველებელი ვიღაც ქალი, ხელები სისხლში ქონდა გასვრილი. ბოროტმოქმედი სახლის პატრონი დავაპატიმრე და ვაცნობე მილიციის უფროსს რომელმაც სასწრაფოთ მიიღო ზომები და აღგვითქვა დამნაშავე თანამშრომელის დასჯა. ასეთ დაუდევრობას ჯერ კიდევ აქვს ადგილი, იმ თანამშრომლების ზნე-ჩვეულებაში რომლებიც დაემკვიდრნენ მენშევიკების დროიდან, დროა აღიკვეთოს ასეთი თავგასულობა.

ქალ. თბილ. და მისი მაზრის სამხედრო კომისარი კობიძე.



დადის ჩვენი მეყუმბარე
წითელ ჯარში
და თუ ჯინმე ნახა ტურასდევნის კარში.

და ეს უშიში მებადე
სწმენდავს ხეებს,..
ყველა მატლიან ვაშლებსა
უკლებს დღეებს.

და იწმინდება ვენახი
მწერ-ჭიებით;
აღარ იწუხებს ლაშქარი
ამ ციებით.

ყველგან დადის უჩინარი
და ეკლება;
რკინის ჯარის შექმნის ტრფობით
თავს ევლება.

ვაი იმას, ვისაც მოხვდეს
დაშნის წვერი!
ველარ გადუდგეს მას გზაზე
ვერრა მტერი!...

დს გამოისახოს უმთავრესათ შემდეგში: კლუბის ხელმძღვანელმა თითქმის ყოველ დღე უნდა შეკრიბოს წითელ არმიელები და უნდა უკითხოს გაზეთები, მოთხრობები, ბროშიურიბი და სხვა; უნდა აუხსნას მათ შინაარსი და მნიშვნელობა. მაცადინეობას უნდა ექნეს საუბარის ხასიათი. ყველა მსმენლებს უნდა მიეცეს საშვალება თვით მიიღონ მხურვალე მონაწილეობა საუბრის საკითხების გარჩევაში. ასეთ თვითმოქმედებას მსმენელებისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მათი გონების განვითარების საქმეში. უნდა იმართებოდეს ხშირად პოლიტიკური ან სხვა სახის გასამართლებანი, რომელშიაც უნდა მიეცეს საშუალება, რაც შეიძლება ბევრმა წითელ-არმიელმა მიიღოს აქტიური მონაწილეობა მის გარჩევაში. უნდა მოეწყოს სტუდიები დრამატიული, ლიტერატურული და სხვა. პოლიტიკური წრეების დაარსებას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. ეს წრეები უნდა იყოს წითელ-არმიელთა პოლიტიკური ცხოვრების ხელმძღვანელები. პოლიტიკური წრეები რამდენადაც მოსახერხებელი იქნება გამრავლებულ უნდა იქნენ.

ამ წერილში მსურდა ამხ. წითელ-არმიელების ყურადღება მიმეპყრო კულტურულ მუშაობაზე, ხოლო შემდეგში ვეცდები აღვნიშნო ჩვენი ჯარის პოლიტიკური აღზრდის მნიშვნელობა.

პ. ხ.

## როგორ უნდა ვეპყრობოდეთ წით. არმიელებს.

მცველ მხლებელთა ათასეულში განსაკუთრებულ ყურადღება მიაპყრო ამხ. გეორგაძემ წითელ არმიელებს შორის. აღნიშნული პირი იმ წამსვე გამოესარჩლებოდა წითელ არმიელს, თუ უკანასკნელის მიმართ სჩადიოდნენ უსამართლობას. ამ ნიადაგზე ხშირად უხდებოდა ამხ გეორგაძეს უფშემადგენლობასთან ლაპარაკი, რომ წითელ არმიელებს კარგად მოპყრობოდნენ. მის დროს ასეც იყო. თითქმის დეზერტირობა ჩვენს ნაწილში ამის გამო არ იყო. რადგან ყველა არმიელი ისე გრძნობდა თავს, როგორც მამასთან.

მაგრამ საქმე სხვანაირად დატრიალდა, უფშემადგენლობამ ვერ აიტანა ამხ. გეორგაძე და როგორც იყო მოახერხეს მისი თავიდან ჩამოშორება. დღეს, რასა კვირველია მათ აღარავინ ყავს ისეთი პასუხის მომთხოვი, როგორიც იყო.

სრულიად სიმართლეს შეიცავდა ამას წინად წითელ არმიელის წერილი (დაიბეჭდა წით. არმიელში) რომელშიაც აღნიშნავდა მადლობას ამხ. გეორგაძისა მისი მუყაითი შრომისათვის. განსაკუთრებით კარგად ეპყრობოდა ის წითელ არმიელთ. მასში არ იყო ბიუროკრატიული სული. ერთი სიტყვით ის იყო. ნამდვილი წითელი კომანდირი, რომელსაც შეუძლიან ასწიოს ჯარში დისციპლინის და სამსახურის პრესტიჟი.

**ონელი.**

## ვინ არის მართალი.?

ჩვენი გაზ. „წითელ არმიელის“ № 110-ში მოთავსებული წერილი წ. არმ. ი. მეგრელიშვილისა სათაურით; წ. არმიელის ხმა, რომელშიაც ნათქვამია: „როგორც ხმები დადის საინჟ. ათასეულიდან გადადის (ალბათ გადაყავთ) ამხ. სამხკომი ბარამიძე. ამ ხმებმა დიდი უსიამოვნება მიაყენა ბევრ წითელ არმიელს, მისი სხვა ნაწილში გადაყვანა ჩვენთვის შეადგენს დიდ დანაკლისს. ის სამაგალითო მომუშავეა საზოგადოთ, და განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევს წ. არმიელთა სწავლა განათლებას და მათ ინტერესების დაცვას.“ და სხვ. ეს წერილი რომ წავიკითხე ძალიან გამიკვირდა. გავიფიქრე: ვინ არის მართალი? წერილის ავტორი წ. არმ. ი. მეგრელიშვილი თუ ის წითელ არმიელები, საინჟ. ათასეულიდან, რომლებთანაც მე მომიხდა ყოფნა მთელი 25 დღე? ათ. წ. არმიელები ამბობენ მაგალითად; სამნეო ნაწ. უფროსმა და მისმა კამპანიამ მიიმხრეს თავისკენ ამხ. ბარამიძეო და სხვ. ვეკითხები ამხ. ი. მეგრელიშვილს: 1) თუ ისე კარგად არის საქმე დაყენებული საინჟ. ათასეულში ბარამიძის მეოხობით, რატომ არის, რომ თითქმის ყოველ დღე იწერება გაზ. „წითელ არმიელში“ საინჟ. ათასეულის შესახებ არა კარგი ამბები?(!!) 2) რა დააშავა ისთეთმა პოლიტხელმა ამხ. მინდიაშვილმა რომ სამხკომმა ციხეში ჩასვა 15 დღე და შემდეგ მთლად მოიშორა თავიდან, ის მინდიაშვილი, რომელსაც დღეს არმიელები მოწიწებით იხსენიებენ.*)

**გან-ტანი.**

## ახალი სამხკომი.

ჩვენს თბილისის მცველ-მხლებელთა ათასეულში ა. წ. 25 ოქტომბრიდან დანიშნულია სამხედკომათ ამხ. მამულაიშვილი.

ვუსურვებთ მას ენერგიულ მუშაობას, რათა ამხ. მუშაობა ნაყოფიერი ყოლიყოს საერთო მაშტაბით ჩვენს ათასეულში.

**მ. მაჩიტაძე.**

## თავს არ იწუხებენ

ჩვენს მეორე ლეგიონში სრული ორი თვე გადის, რაც წარმოდგენა არ დადგმულა.

ბევრჯერ იყო დასმული საერთო კრებაზე საკითხი, თუ რატომ წითელი არმიელებისათვის წარმოდგენა არ იმართებოდა. მაგრამ აქამდისაც არ მიუქცევიათ ყურადღება, რაშია საქმე? იმაში, რომ არ უნდა თავი შეიწუხოს ჩვენს კულტგანმანათლებელ სექციას. ამ ორი თვის წინათ, თუ ლეგიონში ორ კვირაში და კვირაში ერთხელ იმართებოდა წარმოდგენა, უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ! „დასს კარგი ხელმძღვანელი არ ჰყავსო“. ახლა კი ორი თვეა, რაც მოიყვანეს ხელმძღვანელი და ჯერ არაფერი გაუკეთებია.

**კობახიძე.**

## ჩვენი წ. არმიელები სამეურნეო ფრონტზე.

თბილისის მც. მხლ. ათასეულმა, აპრილში აიღო მოსათიბი და საბალე მინდორი დაახლოებით 8 დესეტინამდე სოფ. ყალაჯარაში, რომელიც მოხნა და დათესა ზედ მწვანეულობა კომბოსტო, პამიდორი, კართოფილი, სიმიდი და სხვა. ათასეულის სამხკომმა, ამხ. ნემსაძემ ათასეულის თავმა, ამხ. იაშვილმა და წითელ არმიელებმა დიდი ენერგია გამოიჩინეს ამ მინდვრის დამუშავებაში. მოითიბა თივა,

---

*) წერილი შემოკლებით იბეჭდება. რედაქცია ამხ. გან-ტანის აზრს ამხ. ბარამიძეზე არ იზიარებს.

**რედ.**

რომელიც დაჰლოვებით გამოვა 2 ათას ფუთამდე, აგრეთვე მთელი ზაფხული ათასეული ამ ბაღიდან ჩამოტანილ პამიდორს, კართოფილს, კომბოსტოს ვხმარობს. ასეთი ნაყოფი მოიტანა წითელ არმიელთა შრომამ, დიდი მადლობის ღირსი არიან ამხ. წითელ არმიელები და მეთაურნი, რომლებმაც ხელმძღვანელობა გაუწიეს ამ საქმეს.

სამხკორი **მაჩიტაძე.**

## მე 6-ე გუნდში.

1 ლეგიონის მე 6-ე გუნდი ყაზარმაში დაბრუნებისას შეუდგა მოწყობა გალამაზებას როგორც ყაზარმას ისე შესწავლა გაგებას სამხედრო ტეხნიკისას, პარტიულ და პოლიტგამანათ. მუშაობისას.

გაჩაღდა მუშაობა კომუჯრედში, პოლიტ-ეკონომიის შემსწავლელთა ჯგუფში; შეუდგენ თავიანთ მოვალეობას პოლიტ-განმანათლებელი კომისია, შეებულების კომისია და სამხკორები. დაარსდა პოლიტ-წრე და მთელი რიგი წრეებისა, რომლებიც დაშლილი იყო სხვა და სხვა მიზეზებით ყველა მათგანი შეუდგა თავიანთ მოვალეობას. განახლდა პოლიტ-მეცადინობა. ვარჩევთ გაზეთებიდან წამოყენებულ ყოველ დღიურ კითხვებს. სწარმოებს კითხვა პოლიტ-ბროშიურების მარქსის, ენგელსის, ლენინის, ტროცკის, და სხ.

ვეცნობით მათ შეხედულებას მსოფლიოს მშრომლებზე და საბჭოთა აღმშენლობას. პოლიტ-განმანათლებელ კომისიამ მიიღო მხედველობაში რომ მეზობლათ მყოფ 5-თე გუნდს არა ყავს პოლიტხელი, დაადგინა იქაც უხელმძღვანელოს გაზეთების კითხვას და საუბარს სხვა და სხვა თემებზე. მანვე დაადგინა დაარსოს ჟურნალი „გუნდის ცხოვრება“ და კედლის გაზეთი, რომლებიც გამოშვებულ იქმნებიან ამ მოკლე ხანში. გვაქვს მხედველობაში მოვხწყოთ მხედრულ ლიტერატურულ კომუნისტური ხასიათის საღამო.

უკვე ემზადებიან ჩვენი წითელ არმიელები უფშემადგენლობა და პოლიტ-მომუშავენი.

**ვ. ცომაია.**

## იდეისთვის ერთგული მებრძოლი

ამ ორი თვის უკან იყო გამოშვება სამხედრო პოლიტკურსების კურსანტების. რომლებიც დაგვიგზავნეს ნაწილებში სამუშაოთ. ამ დროს ჩვენთან ერთათ დაამთავრა კურსები **ამხ. კაჭარავამ,** რომელიც მოხვდა სამოსწავლო ათასეულში წ. არმიელების, გასათვითცნობიერებლათ. მაგრამ ბედმა არ გაუღიმა ჩვენს ძვირფას ამხანაგს, ათასეული მალე წავიდა ბანდიტიზმის ლიკვიდაციისათვის დუშეთის მაზრაში, რომელსაც შეეხვდა ბანდიტებთან ბრძოლა მიუვალ ადგილებში. ამ დროს ამხ. კაჭარავა, იქნა დაჭრილი მოწინააღმდეგე ბანაკიდან, რომელიც დასახიჩრდა საშუდამოთ და დაკარგა სხეულის ერთი ნაწილი, ფეხი.

ჩვენ ამხანაგები დიდ მწუხარებას გამოვსთქვამთ ამხანაგის დასახიჩრების გამო ამასთანავე დიდ მადლობას ვუძღვნით ამხანაგს. მისი ერთგულობის გამოჩენისათვის, საბჭოთა ხელისუფლებ ისადმი.

პოლიტხელი **ბურდილაძე.**

ლი: ხორბალი—366 069 ფუთი, ქერი—26 737 ფუთი, ჭვავი—3,969 ფ. სიმინდი—12 195 ფ., ქერდიკა—384 ფ. კართოფილი—9 590 ფუთი, შვრია—429 ფუთი, ლობიო—11980 ფუთი, ერბო—104 ფ., ყველი—411 ფუთი, მატყლი—1282 ფ., ხორცი—6 322 ფუთი და ფულად 5 308 451 ათასი მან.

მაზრების მიხედვით ეს პროდუქტები შემდეგნაირად ნაწილდება:

**ახალქალაქის მაზრა.** ხორბალი—6390 ფ., ქერი—7759 ფ., ჭვავი—3721 ფ., კართოფილი 3660 ფ., ხორცი 2922 ფუთი და ფულად 252,951 ათასი მან.

**ახალციხის მაზრა.** ხორბალი—36,105 ფ., ქერი 2929 ფ.. ქერდიკა 384 ფ, კართოფილი 3233 ფ., ხორცი 2359 ფ., და ფულად 566,355 ათასი მანეთი.

**ბორჩალოს მაზრა.** ხორბალი 31551 ფ., ქერი—2931 ფ, ჭვავი—218 ფ. და ფულად—1,615,799 ათასი მან.

**დუშეთის მაზრა.** ხორბალი 20384 ფ, ქერი—1073 ფ, სიმინდი—33 ფ., კართოფილი—216 ფ., ლობიო—230 ფ., ერბო—55 ფ. ყველი—25 ფ., მატყლი—800 ფ. ხორცი—294 ფ: და პური—41,975 ათასი მანეთი.

**ტბილისის მაზრა.** ხორბალი--23,590 ფ. ქერი—2495 ფ., სიმინდი—846 ფ. კართოფილი—1595 ფ. ლობიო—438 კარაქი—30 ფ. ყველი—386 ფ. მატყლი—144 ფ., ხორცი—241 ფ. და ფულად—2,430,441 ათასი მანეთი.

**თელავის მაზრა.** ხორბალი 10795 ფ., ქერი 1800 ფ: სიმინდი 9264 ფ., კართოფილი 800 ფ., ლობიო 3400 ფ., და მატყლი 5 ფუთი.

**სიღნაღის მაზრა.** ხორბალი 80638 ფ., ქერი 4781 ფ. სიმინდი 2039 ფ., ჭვავი 429 ფ., ქართოფილი 6771 ფ., მატყლი 331 ფ. და ფულად 330 მილ. მანეთი.

**სამხრეთ ოსეთი.**—ხორბალი 14933 ფ., ქერი 2306 ფ., სიმინდი 11 ფ., ქართოფილი 16 ფ., ლობიო 2 ფ., კარაქი 5 ფ. და მატყლი 1 ფ.




## 1-ლი ლეგიონი.

1-ლ ლეგიონში მეფურნე კარაპეტ ჩახმახჩიანცი სისტემატ. ძარცვას ეწევა.

**კორესპოდენც.**

პური ტალახი, რომელიც
ძაღლსაც კი არ ეჭმევა,
არმიელთ კარგი პური
ნეტა რათ არ ეძლევა?

„კანტროლნი კომისია“
არ იბერტყავს ყურებსა,
ვიდრე ვინმე ყუმბარით
მათ არ შეახურებსა.

ამბობენ: „ჩვენ რა უყოთ
არ გვაძლევენ კარგ ფქვილსო,
და ჩვენც კარგს პურს ვით მიაცემთ
მუშის და გლეხის შვილსო“.

და როგორაც პილატე
იბანენ ისინი ხელს,
რის იმედი აქვთ ნეტავ,
არ ელიან დღეებს ცხელს?

ვიღაც ჩახმახჩიანცი
ჩვენ პურებსა გვპარავს
აღარ ვიცით თუ კიდევ
ვინმე მას დაჰფარავს.

ყველაფერს შიგ შეხვდებით
ჩვენს პურში—ჩემს გარდა,
ერთი ყუმბარა აქით
რით ვერ გადმოვარდა? *)

**ტ უ ზ ი.**

*) მოვალ გამოვიძიებ,
და თუ გამართლდა ესა,
მაშინ, ო! ჩემი დაკვრით
მაგათ დაიწყონ კვნესა!

**დ ა შ ნ ა.**




## წითელ არმიელის წერილი,

**როგორ იფლანგება სახელმწიფო ქონება.**

ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ სახელმწიფო ქონების დაცვაზე, მაგრამ საუბედუროთ ვერ ვატარებთ მას ცხოვრებაში. ის, რაც ხდება წითელ ჯარის ნაწილებში, როგორც ქართულში ისე ცალკე კავკასიის არმიაში—განსაკუთრებით კი ამ უკანასკნელში, უსათუოდ დაუშვებელია. ხშირად მიხდება ბაზარში გავლა, სადაც ვხედავ რომ უფრო დიდი ნაწილი მოვაჭრეებისა არიან წითელ არმიელები, რომლებსაც მოაქვთ სამხედრო საწყობებიდან მიღებული ტანისამოსი.

კითხვა იბადება, თუ საიდგან აქვს წ. არმიელს გასაყიდი ტანისამოსი?! მე მგონია, წითელ არმიელები ბევრს არაფერს ღებულობენ, რომ მან კიდეც ჩაიცვას და კიდეც გაჰყიდოს. მე დარწმუნებული ვარ, იმაში, რომ აქ უფრო სხვა მიზეზებს აქვს ადგილი.

აღსანიშნავია ერთი გარემოება: წითელ არმიელმა თუ გაყიდა თავისი ტანისამოსი უფროსის წინაშე თავს არ იმართლებს, რომ მას ტანსაცმელი მოჰპარეს, მან იცის რომ ამისთვის დიდ სასჯელს არ მისცემენ და მეორე კვირაში კიდევ მიიღებს.

დღეს ბაზარზე ხშირად შეხვდებით, იყიდება ახალი შინელები და ეს ხდება აშკარად, არავინ არავის არაფერს ეუბნება. დროა მიექცეს ყურადღება ამ დამღუპველ მოვლენას, თორემ ჩვენი მომარაგების განყოფილება ვერ გაუძლებს ამდენ ქონების ფლანგვას.

**ს. ლომიძე.**

1-ლეგიონი.

## სასურსათო გადასახადი

**ხულ რამდენია აკრებილი?**

სახალხო სასურსათო კომისარიატის ოფიციალურ ცნობით აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც გადასახადის შეგროვება სწარმოებს ოქტომბრის 26 სთვის აკრებილია 497 764 ფ. ხორბლეულის ერთეული ანუ 864 პროცენტი შეწერილ გადასახადისა.

**პროდუქტებია აკრებილი:**

სასურსათო გადასახადის სახით შეკრებილია 497 764 ფუთი ხორბლეუ-

# მ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის შტაბის სტამბა.**
(ლორის-მელიქოვის ქ. № 3)

ამით აცხადებს, რომ სტამბასთან გაიხსნა **სამხედრო წიგნთა მაღაზია,** სადაც მოიპოვება ყოველგვარი საანგარიშო წიგნები და ბლანკები სამხედრო დაწესებულებათა, სამმართველოებთა და ნაწილთათვის, რომელთა შეძენა შეიძლება მაღაზიაში მხოლოდ ნაღდი ანგარიშით.

მაღაზია მალე დაიწყებს ვაჭრობას აგრეთვე ყოველგვარი საკანცელარიო ნივთებით და ექნება დამზადებული რვეულები.

სტამბის უფროსი **გ. მიხელიძე.**

სამხ. კომისარი **მინდიაშვილი.**

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან.        რედაქტორი—**პ. ქუთათელაძე.**